ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**გ-13.13221751**
თარიღი:**24/06/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება'' უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის ფორმით - უზუფრუქტით, ორგანიზაციის არსებობის ვადით, გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება" (ს/კ 424068298) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ წყორძაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი (საკადასტრო კოდი: 62.11.55.307);

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზემო სხვილისში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტები (საკადასტრო კოდი: 62.08.60.230);

გ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნაოხრებში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტები (საკადასტრო კოდი: 62.16.52.310);

დ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ აწყურში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი (საკადასტრო კოდი: 62.04.55.188);

ე) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნაოხრებში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი (საკადასტრო კოდი: 62.16.62.373);

ვ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ წნისში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტები (საკადასტრო კოდი:

62.06.59.059);

ზ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ სხვილისში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი (საკადასტრო კოდი: 62.08.58.057);

თ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნაოხრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი (საკადასტრო კოდი: 62.16.52.279);

ი) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ მინაძეში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი (საკადასტრო კოდი: 62.10.57.068);

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ᵃ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი